# არჩევნებამდე ორი დღე დარჩა

12 ივნისი — სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 132 (13526) | პარასკევი, 10 ივნისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.


• წინასაარჩევნო ვახტაზე •

## შრომითი ნობათები

საქართველოს კპ წითელწყაროს რაიონის პირველ მამდივანმა ა. ბონაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. შანბაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. ხუციშვილმა რედაქციას აცნობეს: წითელწყაროელმა მმრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულება წარმატებით განაღდეს. 9 ივნისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 830 ტონა ხორცი ნაცვლად 793 ტონისა. ეს ხუთი თვის გეგმის 104,6 პროცენტს შეადგენს. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ექვსი თვის გეგმა შესრულდა 117 პროცენტით, მიეყიდა 3.826,1 ტონა ნაცვლად 3.276 ტონისა, კვერცხი — 5.225 ათასი ცალი ნაცვლად 4.080 ათასი ცალისა, მატყლი — 189,9 ტონა ნაცვლად 189,8 ტონისა.

საქართველოს კპ მცხეთის რაიონის პირველმა მდივანმა, გ. პავლიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ლაშაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. რაზმაძემ რედაქციას აცნობეს, რომ მცხეთელი მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს წარმატებით ხვდებიან. 5 ივნისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 1.461 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 1.200 ცენტნერისა — გეგმის 122 პროცენტი. რძე მიეყიდა 6.800 ცენტნერი ნაცვლად 6.440 ცენტნერისა — გეგმის 106 პროცენტი. კვერცხი 108 ათასი ცალი ნაცვლად 103 ათასი ცალისა — გეგმის 108 პროცენტი. მატყლის შესყიდვის გეგმა შესრულდა 100 პროცენტით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს შეეხვედნენ მაღალი შრომითი მაჩვენებლებით — ამ დღეებით შრომობს თბილისის № 2 ავტომშენებელი ქარხნის კოლექტივი და პირნათლად ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას.

ქარხნის კოლექტივმა ადგილზე ადრე გადაჭარბებით განაღდა ახალი ხუთწლედის პირველი წლის ხუთი თვის საწარმოო დავალება და კაპიტალური რემონტიდან გეგმის გადამეტებით ათი ავტომობილი და რამდენიმე ძრავი გამოუშვა.

შრომაში დაწინაურდა ავტომანქანების შემკრები კომუნისტური შრომის საამქროს ბრიგადა, რომელსაც გ. მელაძე უძღვება. ამ ბრიგადის წევრებმა ხუთი თვის დავალება 125 პროცენტით შესრულეს.

ავტომშენებლებმა ვალდებულებაც აიღეს, ამ დღეებში ჩაბარებულ ავტობუსებზე ერთ-ერთ ადგილზე ბრიგადა ბ. ბერიძის ეგიდით ბრიგადა ბ. ბერიძეს ... ბ. ... ... ...

# ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვის დასასრული

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდის მტკიცე საფუძველია. მეტი საკონელი გამოჩნდა მაღაზიებში, გაფართოვდა მისი ასორტიმენტი. ახლა ადამიანი ბრუნავს არა მარტო იმისათვის, თუ სად იყიდოს საჭირო ნივთი, არამედ იმისათვის, რომ ეს ნივთი იყოს ჩინებული ხარისხისა, დამზადებული იყოს გემოვნებით, უკანასკნელი მოდის მიხედვით.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავიკვეხნით იმას, რომ სავსებით ვაკმაყოფილებთ ჩვენი ხალხის მოთხოვნილებას საცხოვრებელ ფართობზე. მაგრამ ამ საქმეშიც უკვე ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. მოსკოვის მარტო ლენინგრადის რაიონში შვიდწლედის მანძილზე ოჯახების დაახლოებით ნახევარმა ახალმოსახლეობა იდღესასწაულა! და ეს დამახასიათებელია არა მარტო მოსკოვისათვის. ჩვენი თვალწინ ვიდენი სამშობლოს ყოველი რაიონის, მისი ყოველი ქალაქის მცხოვრებლებმა კარგად იციან, თუ რა ინტენსიურად მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა—ახალშენებანი ყველას თვალწინ არის.

ამავე დროს ჩვენ გვერდს ვერ ავუვლიით არსებულ სიძნელეებსა და ხაკლოვანებებს. როგორც იცით, ჩვენ მთლიანად ვერ განვაოროციელეთ შვიდწლედის გეგმით დაასახული დავალებანი, მათ შორის ზოგიერთი ისეთიც, რომელზეც უშუალოდ დამოკიდებულია ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება.

პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა საფუძვლიანად ანალიზი გაუკეთეს წარმოშობილ ნაკლოვანებათა მიზეზებს და შეიმუშავეს მათი აღმოფხვრის ძირეული ღონისძიებანი. ამისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წლის) პლენუმს. ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებანი მოიწონა მთელმა პარტიამ, მთელმა ხალხმა. მათს განხორციელებას უკვე მოაქვს დადებითი შედეგები.

მეოვე ხუთწლედი, რომლის განხორციელებაც დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ, განაგრძობს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების საერთო ხაზს, ახალი საფეხურია ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის ზრდის უფრო სწრაფი ტემპები, ვიდრე წინა ხუთწლეულში იყო, დასახულია ფართო სოციალურ-ეკონომიური პროგრამა.

ორატორმა აღნიშნა, რომ ჩვენ კვლავაც შევინარჩუნებთ მძიმე ინდუსტრიის განვითარების უპირატეს ტემპებს, განუწყვეტლივ ვიზრუნებთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. ამასთან გამაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახალხო მეურნეობის სტრუქტურის პროგრესულ შეცვლას, ყველა მისი დარგის ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ეროვნული შემოსავლის ზრდის უფრო სწრაფი ტემპები, განსაკუთრებით ამ შემოსავლის იმ ნაწილში, რომელიც მოხმარებისათვის არის განკუთვნილი. ეს კი საშუალებას მოგვცემს წინანდელზე მეტი სახსრები გამოვყოთ მშრომელთა ცხოვრების დონის ასაამაღლებლად.

ყველაფერი, რაც განსაზღვრავს ხალხის კეთილდღეობას, — მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი, კოლმეურნეთა შემოსავალი, პენსიით უზრუნველყოფა, საბინაო მშენებლობას, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები — ყოველივე ეს ახლანდელ ხუთწლედში უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე წინათ. ეს ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა სოციალიზმის პრინციპისა — „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“, პრინციპისა, რომელიც ძირეულად განასხვავებს სოციალისტურ წყობილებას ექსპლოატაციისა და გამდიდრების წყობილებისაგან.

ახალ ხუთწლედს ახასიათებს არა მარტო საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების დარგში დასახული ამოცანების მასშტაბი, არა მარტო, ასე ვთქვათ, რაოდენობრივი მხარე, არამედ თვისებრივი მხარეც. ამ წლებში იწყება სამეურნეო რეფორმის განხორციელება, მოქმედებას იწყებს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის გაძლოლისა და ეკონომიკის მართვის ახალი სისტემა.

მუშაობის ახალი პირობები უკვე შემოღებულია მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმოთა დიდ ჯგუფში. ამ საწარმოთა გამოცდილება ადასტურებს, რომ ეფექტიანია პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი მატერიალური სტიმულირების უზრუნველსაყოფად და საწარმოო კოლექტივების სამეურნეო დამოუკიდებლობის გასაფართოებლად.

დასახა რა ჩვენი განვითარების ხუთწლიანი პერსპექტივა, პარტიამ არა მარტო დასახელა კონკრეტული მიჯნები, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ, არამედ კიდეკაც განსაზღვრა ის ძირითადი ძეთოდები, ის მთავარი ბერკეტები, რომელთა საშუალებით უნდა გადაიჭრას ხუთწლედის ამოცანები. ეს არის უწინარეს ყოვლისა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ფართოდ დანერგვა ცხოვრებაში, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარება და მისი ეფექტიანობის გადიდებაც, შრომის ნაყოფიერების ზრდა. ეს არის პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება, მანქანებისა და მექანიზმების სამსახურის ვადის გაგრძელება, მათი საიმედოობის გადიდება. ეს არის მეურნეობის რაციონალური გაძღოლი, მომჭირნეობის რეჟიმის უმკაცრესად დაცვა.

ამ ბერკეტების საშუალებით, განაცხადა ნ. ვ. პოდგორნიმ, უზრუნველვყოფთ მრეწველობის შემდგომ ზნიშვნელოვან ზრდას, სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფ და მყარ ტემპებს. მისი პროდუქციის გაიაფებას და ამ საფუძველზე — ხალხის ცხოვრების დონის ახალ ამაღლებას.

ისევე როგორც თავის დროზე სამამულო მრეწველობის შექმნა იყო საყოველთაო-სახალხო ამოცანა, რომლის გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა დაგროვებამ სოფლის მეურნეობაში, ასევე ახლა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობა ინდუსტრიალიზაციის გზით. ამ მიზნებისათვის სახელმწიფო გამოჰყოფს უდიდეს სახსრებს, მიმდინარე ხუთწლედში ერთიანად ზრდის კაპიტალდაბანდებებს სოფლის მეურნეობაში.

თანმიმდევრულად სრულდება XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ. ცენტრალური კომიტეტი მარტის პლენუმის დადგენილების დამატებით და განსაკუთრებულად ხორციელდება ღონისძიებანი, რათა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ავტომობილების, ტრაქტორების, მანქანების, მინერალური სასუქების წარმოება და მათი მიწოდება სოფლის მეურნეობისათვის.

სულ ცოტა ხნის წინათ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პლენუმზე სპეციალურად განიხილა და მოიწონა მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების, ნიადაგების ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდება, რაც პარტიამ დასახა, საშუალებას მოგვცემს არსებითად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით, მრეწველობისა კი—ნედლეულით, რომელიც საჭიროა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა გაფართოებისათვის. ამასთან ერთად გაიზრდება მუშაობა და კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრენი, მოხდება მისი ტექნიკური ხელახალი შეიარაღება.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ამენდება ასობით ახალი საწარმო, სახალხო მოხმარების საგნები, რომლებსაც ჩვენი მრეწველობა უშვებს, ისევე როგორც საბჭოთა ინდუსტრიის ყოველი სხვა პროდუქცია, უფრო სრულყოფილი და ხანგაძლე უნდა გახდეს.

ჩვენი დიდი გეგმების, წარმოწყებების შეთანხმებულ-კრავების შესრულება საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია ხალხის აქტიურ შემოქმედებითს შრომაზე. საქმის წარმატება თვითეული კოლექტივის ხელშია, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეიცნო ყოველმა ადამიანმა, თუ რა ადგილი უკავია საერთო შემოქმედებითს შრომაში. კომუნიზმის მშენებელი მექანიკური შემსრულებელი როდია, რომელიც ყველაფერს მხოლოდ „აქედან აქამდე“ აკეთებს. ეს არის ადამიანი, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი საქმეებისათვის, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ საქმეებში და შეუძლია შემოქმედებითად, კრიტიკულად მიუდგეს ცხოვრების მოვლენებს, აქტიური გავლენა მოახდინოს მათზე. ახალი ადამიანის აღზრდა, ისეთი პირობების შექმნა, რომ მან შეძლოს მთელი თავისი ნიჭისა და უნარის გამოვლინება შრომაში საზოგადოების საკეთილდღეოდ, ყოველთვის იყო და კვლავაც არის ჩვენი პარტიის განსაკუთრებული საზრუნავი.

კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, რომელიც ადამიანს საზოგადოებას უპირისპირებს, ამკვიდრებს ინდივიდუალიზმს, სოციალიზმის კანონზომიერება ის არის, რომ სულ უფრო ჰარმონიულადაა შეხამებული პირადი და საზოგადოების ინტერესები, მტკიცდება და ვითარდება კოლექტივიზმის გრძნობა. ჩვენი პარტიაც მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ ეს კანონზომიერი პროცესი სულ უფრო ყოველმხრივი გახდეს, რათა აღმოიფხვრას კერძოსაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთები. სწორედ იქ, სადაც სუსტდება ადამიანის კავშირი კოლექტივთან, საზოგადოებასთან, იქ იკიდებს ფეხს ჩვენთვის უცხო შეხედულებანი და მცდარ.

ჩვენი პარტია ყოველწარიად ცდილობს, რომ თვითეული საბჭოთა ადამიანი ბატონ-პატრონად გრძნობდეს თავს, გრძნობდეს პასუხისმგებლობას თავისი საწარმოსათვის, თავისი კოლმეურნეობისათვის, მთელი თავისი ქვეყნისათვის.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი პროგრამის შესრულება ბევრად არის დამოკიდებული პირველი წლის შედეგებზე და რომ არ შეიძლება არც ერთი თვის, არც ერთი დღის დაკარგვა. მთელ ჩვენს ქვეყანაში — აღმოსავლეთი საზღვრებიდან დასავლეთ საზღვრებამდე — დაიწყო ბრძოლა ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება მისი ვადამდე განხორციელებისათვის.

შემდეგ ნ. ვ. პოდგორნი შეეხო გმირი ქალაქის მოსკოვის მშრომელთა საქმეებს, რომლებმაც თავიანთი მებრძოლი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით წარმატებით, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს საგეგმო დავალებანი. შეეხო აგრეთვე იმას, თუ რა წვლილი შეიტანეს ამ წარმატებებში ლენინგრადის რაიონის მშრომელებმა.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენი საშობლოს ძლიერების განმტკიცება საბჭოთა ხალხის ძირითადი ინტერნაციონალური წვლილია მსოფლიო რევოლუციურ პროცესში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლაში. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია მშვიდობის, როგორც სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობის, უზრუნველყოფა.

ჩვენს საგარეოპოლიტიკურ საქმიანობაში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრების ყველა სხვა საკითხის გადაწყვეტის დროს, თანმიმდევრულად მივდიოთ წინ ლენინური კურსით. კონკრეტული საკითხების გადაჭრის დროს პარტია ხელმძღვანელობს კლასობრივ ძალთა განლაგების ზუსტად მეცნიერული, მარქსისტული ანალიზით და მსოფლიო ასპარეზზე მომხდარი მოვლენების შეფასებით.

თუ შევეხებით მთავარს, რაც განსაზღვრავს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ სოციალიზმისა და პროგრესის ძალების შემდგომი განუხრელი ზრდა. ეს ძალები, როგორც დიდი მდინარე წყალდიდობის დროს, იერთებენ სულ ახალ-ახალ შენაკადებს და სულ უფრო მძლავრი და უძლეველი ხდებიან.

მაგრამ, საერთაშორისო ვითარება კვლავ რთულია. იმპერიალიზმი არ აპირებს თავისი პოზიციების დათმობას. ჯერ კიდევ მოეპოვება რა მნიშვნელოვანი ძალები, იგი ცდილობს შეაფერხოს, შეაჩეროს მსოფლიო ისტორიის მსვლელობა, ისწრაფვის ხელი შეუშალოს სოციალისტური ბანაკის შემდგომ განმტკიცებას, იარაღის ძალით ჩაახშოს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ამ ბოლო დროს ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც მსოფლიო რეაქციის მეთაური ძალაა, ამყარა აგრესიული მოქმედების გაჩაღების გზას დაადგა. მისი მიზეზით დადამწის სხვადასხვა რაიონში შეიქმნა ომის საშიში კერები, იქმნება მწვავე საერთაშორისო კრიზისები, რომლებიც საყოველთაო მშვიდობას ემუქრებიან. გიზგიზებს ალი ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივი ომისა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, მთელი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ ფეხქვეშ გათელონ მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის კანონიერი უფლება, იყენებენ თვითმფრინაკებსა და ზარბაზნებს, ნაპალმსა და მომწამვლელ გაზებს.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო, ყველა საბჭოთა ადამიანი მხურვალედ უჭერენ მხარს გმირი ვიეტნამელი ხალხის სამართლიან განთავისუფლებელ ომს, უწევენ მას პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას. ვიეტნამელ მეგობრებს არაერთხელ მადლობით მოუხსენებიათ ეს დახმარება, აღუნიშნავთ მისი ეფექტიანობა. თუ საჭირო იქნება, ჩვენს დახმარებას გავაღიდებთ და გავაძლიერებთ.

ვიეტნამში ამბების მსვლელობა გვიჩვენებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავანტიურა წარმატებას ვერ აღწევს. ვიეტნამელი ხალხი მტკიცე წინააღმდეგობას უწევს ამერიკელ აგრესორებს, რომელთა ზარალი სულ უფრო მატულობს. ამერიკის სამხედრო ბროვის სულ უფრო მკაცრად გმობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა თვით შეერთებულ შტატებშიც. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ვიეტნამელი ძმების მართალი საქმე გაიმარჯვებს, ისინი გამარჯვებას მიაღწევენ!

ამერიკის სამხედრო ბროვის ამასწინანდელმა პროვოკაციებმა სოციალისტური ბანაკის მეორე ფლანგზე რევოლუციური კუბის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. კუბის მთავრობის მტკიცე ღონისძიებანი, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების განცხადებანი, რომ გადაჭრით უჭერენ მხარს კუბელ მეგობრებს, ერთხელ კიდევ მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყნები მზად არიან მოიგერიონ იმპერიალიზმის მუქარა.

ომის საშიშროების სერიოზული კერაა ევროპის ცენტრში. დასავლეთ გერმანიაში თავი წამოყვეს და სულ უფრო თავხედდებიან რევანშისტული ძალები, რომლებიც შოვინიზმისა და მილიტარიზმის ზხამით წამლავენ გერმანელი ხალხის შეგნებასა და სულს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ისახავს ომის შემდგომ საზღვრების შეცვლის გეგმებს, დაჟინებით ცდილობს, რომ ბუნდესვერმა ხელში ჩაიგდოს ატომური იარაღი. და ამ საქმეში მას მხარს უჭერენ და პირდაპირ აქეზებენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები.

ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ უკვე ოცდაერთმა წელმა განვლო. ჩვენ სიამაყით ვიგონებთ ჩვენი ხალხის საბრძოლო გმირობას. მაგრამ გვახსოვს ათეულ ათასობით გადაბუგული სოფელი და ქალაქი, დანგრეული ქარხნები და შახტები, გახადგურებული კულტურული ძეგლები, ფაშისტური სიკვდილის ბანაკები.

ჩვენ კვლავ ავაშენეთ სოფლები, წინანდელზე უფრო ლამაზი გახდა ჩვენი ქალაქები, აღვადგინეთ და ავაშენეთ ათასობით ახალი ქარხანა და შახტი. მაგრამ განა შეიძლება მკვდრეთით აღვადგინოთ ოცი მილიონი დახოცილი, წამებული, შიმშილისა და ავადმყოფობის შედეგად დაღუპული საბჭოთა ადამიანი — ჩვენი დედები და მამები, ჩვენი შვილები, ჩვენი ძმები და ძმები?! –

ჩვენს გულში არ აოის შურისძიების გრძნობა. მაგრამ საკუთარი გამოცდილებით კარგად ვიცით გერმანიის იმპერიალიზმის მხეცური ჩვეულება და ამიტომ მტკიცედ ვიბრძვით რევანშის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარისტული ძალები ახორციელებენ. ამ ბრძოლაში საბჭოთა ხალხსა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს აქტიურად უჭერს მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — პირველი სოციალისტური სახელმწიფო გერმანიის მიწა-წყალზე, ჩვენი ერთგული მეგობარი და მოკავშირე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების პოლიტიკა ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებს, იგი საფრთხეს უქმნის ხალხებს, მათ შორის გერმანელ ხალხსაც, და საჭიროა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწიოს მას. ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ამოცანა ხდება. წინადადებანი ამ საკითხზე, რომლებიც არაერთგზის წამოაყენეს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა, ევროპის საარსებო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების, ევროპის უშიშროების მტკიცე სისტემის შექმნის კონკრეტული პროგრამაა.

საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება მოითხოვს, რომ საბჭოთა კავშირმა სიმტკიცე და თანმიმდევრობა გამოიჩიხოს მშვიდობის დაცვაში, მსოფლიო რევანშისტულ-ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში. ეს არის ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ღონისძიებათა მიზანი.

იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტურ სახელმწიფოთა ძმური თანამშრომლობის განმტკიცებას. ამ ბოლო წლებში ეს თანამშრომლობა გაფართოვდა და განმტკიცდა ყველა მიმართულებით: პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამხედრო საქმის დარგში. ამ გზაზე მიღწეულია საგრძნობი შედეგები. ერთობისა და უფრო მჭიდრო შეკავშირებისადმი მისწრაფება კვლავ ცხადყვეს ჩვენი პარტიის XXIII ყრილობამ და მოძმე პარტიათა ამასწინანდელმა ყრილობებმა.

თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის, პროლეტარული სოლიდარობის პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობდა, ხმარობს და კვლავაც იხმარს იმისათვის, რომ ყოველხაირად განამტკიცოს სოციალიზმის ყველა ქვეყნის მეგობრობა და თანამშრომლობა. ეს ერთადერთი სწორი, ცხოვრებით შემოწმებული პოლიტიკური კურსია, იგი ქმნის უაღრესად ხელშემწყობ შესაძლებლობებს იმპერიალიზმის აგრესიული გეგმების ჩასაფშვნავად, მშვიდობის, პროგრესისა და სოციალიზმის შემდგომი წარმატებებისათვის.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ინტერესებისათვის საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების აქტიური მხარდაჭერის განუხრელ ხაზს. ჩვენ პოლიტიკურ მხარდაჭერასა და ეკონომიურ დახმარებას ვუწევთ ქვეყნებს, რომლებმაც ამ ცრტა ხნის წინათ მოიმორეს კოლონიური მონობის უღელი, ვეხმარებით მათ, რომ მტკიცედ დაადგენენ ნამდვილი დამოუკიდებლობის გზას. ჩვენ ვეხმარებით მათ მოიგერიონ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა იერიშები, რომლებიც ცდილობენ ამოსდონ ამ ქვეყნებს ნეოკოლონიალიზმი აღვირი.

ამხილებს რა იმპერიალისტური წრეების აგრესიულ მოქმედებასა და ზრახვებს, საბჭოთა კავშირი ამავე დროს იბრძვის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. ჩვენი ქვეყანა იმის მომხრეა, რომ ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, ჩვენ ვავითარებთ მათთან თანამშრომლობას ეკონომიკის, ვაჭრობის, მეცნიერების, კულტურის დარგში. მაგრამ არ დავუშვებთ, რომ სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობის ეს არხები მტრულმა ძალებმა გამოიყენონ იდეოლოგიური შეღწევისათვის, სოციალისტური ქვეყნების საზიანოდ. იმედი გაუცრუვდებათ იმათ, ვინც თავს ინუგეშებს ასეთი ილუზიებით.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა მიზანსწრაფული და აქტიური, პრინციპული და თანმიმდევრულია. სწორედ ამიტომ მას ფართოდ უჭერენ მხარს და გაგებით ეკიდებიან ხალხები. საბჭოთა კავშირი კვლავაც განაგრძობს ლენინურ საგარეოპოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით აშენებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, თუ რა ძვირფასია მშვიდობა. დაღუპულთა ხსოვნა, მომავალი თაობების ბედნიერებისათვის ზრუნვა გვავალებს ერთი წუთითაც არ შევანელოთ სიფხიზლე! ჩვენ განუწყვეტლივ განვამტკიცებთ ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერებას, რათა მათ ყოველ მომენტში შეეძლოთ დაიცვან ჩვენი სოციალისტური მონაპოვარნი, შეასრულონ ინტერნაციონალური მოვალეობა ჩვენი მეგობრების წინაშე.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა შეგნებული შემოქმედების პროცესია მილიონობით ადამიანისა, რომლებსაც სათავეში უდგას კომუნისტური პარტია. ფართო მასები რომ ჩავიბათ ამ მშენებლობაში, საჭიროა უდიდესი მუშაობა გასწიონ საზოგადოებრივმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა, საბჭოთა ხელისუფლების თითქმის ნახევარი საუკუნის არსებობის მანძილზე შექმნილი სოციალისტური დემოკრატიის მთელმა სისტემამ.

სოციალისტური დემოკრატიზმის განხორციელებაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს. სწორედ საბჭოებია ჩვენი ხალხისათვის ის ორგანიზაცია, რომლის საშუალებითაც იგი სოციალისტურ სახელმწიფოდ ერთიანდება. უწინარეს ყოვლისა თვითანთი დეპუტატების, საბჭოების საშუალებებით — დაწყებული სასოფლო საბჭოთი და დამთავრებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთი — ხალხი ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას. [illegible] ხალხი როგორც უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ისე ადგილობრივ მნიშვნელობის ბევრ პრობლემებს, ისე ადგილობრივ მნიშვნელობის ბევრ საკითხს. რა თქმა უნდა, ამ საკითხების [illegible] საბჭოების თვითეულ რგოლს თავისი ადგილი ეკუთვნის, მაგრამ თვითეული საბჭოს ყურადღების ცენტრში მუდამ ადამიანი, მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა.

ნ. ვ. პოდგორნიმ მოიყვანა მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ საბინაო მშენებლობას, ეაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარებას ლენინგრადის რაიონში და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საცხოვრებელი სახლები მწყობრში დგებოდეს დროულად, რომ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი კარგი იყოს. ეს არის საბჭოების, მათი დეპუტატების უპირველესი მოვალეობა. დროულად უნდა ვეაროენონთ ახალი საცხოვრებელი მასივების კეთილმოწყობისათვის, ტრანსპორტის, სამბავშვო ბაღების, ბაგებისა, სკოლების, კინოთეატრების, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების შექმნისათვის ახალშენებათა რაიონებში. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, რომ ზუსტად იქნეს დაცული ბინების განაწილების დადგენილი წესი.

მშრომელთა მომსახურების სერიოზული უბანი, — ნაგრძო ნ. ვ. პოდგორნიმ, — ეაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მოწყობაა. რა თქმა უნდა, მთავარია უფრო მეტი ვაწარმოოთ სახალხო მოხმარების საქონელი და კვების პროდუქტი. მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ეს საქონელი დროზე მიიღოს მომხმარებელმა, კარგ მდგომარეობაში, კარგი ხარისხისა. უახლოესი წლებიდან ყურადღებას ეთმობა ბევრი რომ გაკეთდეს ეაჭრობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მისი კულტურის ამაღლებისათვის, აქ, ისევე, როგორც ყოველ სხვა საქმეში, რომელიც მოსახლეობის მომსახურებასთან არის დაკავშირებული, გადამწყვეტი როლი ეკუთვნის საბჭოებს.

ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა კონტროლი უნდა გაუწიონ კლუბების, კულტურის სასახლეების, პარკების, სტადიონების, სანანობიანი საწარმოების, კულტურის სხვა დაწესებულებების მუშაობას, [illegible] უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, რათა გაუჯობესდეს მთელი მოსახლეობის მომსახურება.

საბჭოების მუშაობის რომელ მხარესაც უნდა შეეხოთ, ისინი მუდამ მშრომელთა ინიციატივას, ორგანიზაციულ ნიჭაყოფლობითი თანაშემწენი, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების ინიციატივას ეყრდნობიან. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საბჭო მუდამ ეჭერდეს და ახალისებდეს საზოგადოებრივი მუშაკებს, სასარგებლო წამოწყებებსა და აქტივობას, უნარიანად წარმართავდეს მათს მუშაობას.

საბჭოების არჩევნები უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმე. პასუხსაგები პერიოდია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, აღნიშნა ორატორმა. არჩევნების დროს საბჭოთა ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს, რომლებმაც ხორცი უნდა შეასხან ჩვენს ფართო გეგმებსა [illegible] შთანაფიქრს, თანმიმდევრულად განახორციელონ ხალხის ნება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია საბჭოთა საზოგადოებრივ ყველა ფენის წარმომადგენელნი. დეპუტატთა ასეთი [illegible] რომომადგენლობითი შემადგენლობა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოში, იგი საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ და გადაეჭროთ საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები საქმის ღრმა ცოდნით, მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესთა გათვალისწინებით. ამასთან არა მარტო გადავჭრათ, არამედ [illegible] ვიყოთ იმის კურსში, თუ როგორ ხორციელდება ეს გადაწყვეტილებანი. საბჭოთა დეპუტატი ხომ [illegible] ერთობას არ წყვეტს წარმოებასთან, არ ხდება პროფესიონალი პარლამენტარი. იგი მუდმივად ცხოვრობს [illegible] ხის შუაგულში, იცის მისი საჭიროებანი და საზოგადოებ[illegible] და ხალხის აზრები, მისი მისწრაფებანი მიაქვს საბჭ[illegible]

„...საბჭოთა ხელისუფლება, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — კი არ იძლევა ისეთ წარმომადგენლებს, რომლებიც ფარიკაობენ პარლამენტებში, წარმოთქვამენ ბრწყინვალე სიტყვებს და ქმნიან კაპიტალის და მოხელეთა ასარაკ[illegible] მტკიცე ბატონობას. საბჭოთა ხელისუფლება მოდის თვ[illegible] მშრომელთა მასებიდან, ის იძლევა არა პარლამენტს, [illegible] მედ მშრომელთა წარმომადგენლების კრებას, რომელ[illegible] სცემს კანონებს, რომლებიც უშუალოდ სრულდება, [illegible] რცელდება...“

ეს ლენინური პრინციპი უდევს საფუძვლად მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოს.

საბჭოთა დემოკრატია განუყოფელად დაკავშირებულია სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასთან. საბჭოთა კანონი საზოგადოების საქმეების მართვის დიდმნიშვნელოვანი იარაღი, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების რეგულატორია. იგი დგას ხალხის, თვითეული მშრომელის ინტერესების სადარაჯოზე.

თვითეული კანონი, რომელსაც უმაღლესი საბჭ[illegible] იღებს, დეპუტატთა კოლექტიური შრომის შედეგია, [illegible] დასხვაგვარი, ხშირად საწინააღმდეგო თვალსაზრისთა [illegible] პირისპირების; მშრომელთა ათასობით წერილისა და [illegible] ნადადების ანალიზის, საზოგადოებრივ და სახელმწ[illegible] ორგანიზაციათა, სახელმწიფო ხელისუფლების რეს[illegible] ლიკური და ადგილობრივი ორგანოების აზრთა გა[illegible] ლისწინების შედეგია.

ამოწმებენ რა უმაღლესი საბჭოს კანონებისა და გ[illegible] წყვეტილებების შესრულებას, დეპუტატები სულ უფ[illegible] ეფექტიანად აკონტროლებენ მართვის ორგანოების [illegible] მიანობას. მუდმივ კომისიებში ისმენენ სამინისტროებ[illegible] და უწყებების მოხსენებებს, ამხილებენ ნაკლოვანებ[illegible] ამუშავებენ რეკომენდაციებს, რომელთა მიზანი მათ[illegible] მოსწორებაა.

შემდეგ ნ. ვ. პოდგორნი შეეხო სსრ კავშირის უმაღ[illegible] სი საბჭოს დეპუტატთა საქმიანობას სესიებზე, მუ[illegible] კომისიებში, თავიანთ საარჩევნო ოლქებში, საზღვ[illegible] რეთ მოგზაურობის დროს. სახელმწიფო საქმიანობის [illegible] სფეროსაც უნდა მივმართოთ, საბჭოთა დეპუტატი ყ[illegible] გან და ყოველთვის ხალხის ნების გამომხატველი და [illegible] ახორციელებელი, თავისი ამომრჩევლების ინტერ[illegible] წარმომადგენელია.

ხმას აძლევენ რა კომუნისტებისა და უპარტიოებ[illegible] ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი ქვეყნის მშრომელნი, [illegible] ნ. ვ. პოდგორნიმ ხმას აძლევენ იმ საარჩევნო პროგ[illegible] მას, რომელიც პარტიამ შეიმუშავა და რომელიც სსრ [illegible] შორის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების დიდი საყოვ[illegible] თაო-სახალხო განაწესი ხდება. ეს განაწესია — აქტ[illegible] რად ვიბრძოლოთ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური [illegible] თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, მშრომ[illegible] თა მატერიალური და კულტურული დონის ყოველ[illegible] ხისძიებით აამაღლებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვ[illegible] ბის განმტკიცებისათვის. და არ არის იმაზე საპატიო [illegible] ვალეობა, იმა

# ᲗᲔᲐᲢᲠᲘ—ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲘᲠᲕᲐ

### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ VI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲒᲘᲜᲘᲒᲠᲗᲐ საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეექვსე ყრილობა. ყრილობა გაიხსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს რსფსრ-ის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. სსრ კავშირის სახალხო არტისტის გ. გომიაშვილის წინადადებით ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად და მზუარეულ ოვაციებით აირჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების კამგენობის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე დ. ანთაძე.

მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა საანგარიშო პერიოდში საზოგადოების მიერ გაწეულ შეგნებას, ეროვნულ შეეხო თანამედროვე თეატრალური ხელოვნების იდეური და შემოქმედებითი ზრდის კონკრეტულ ამოცანებს.

საზოგადოების სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე რსფსრ-ის სახალხო არტისტი გ. ნინოძე.

ყრილობას მიესალმნენ რუსეთის, უკრაინის, ბელდაგეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებათა წარმომადგენლები: ვ. ოსტალსკი, ა. სოლომარსკი, მ. აპოსტოლოვი, ა. ბოჯაევი, ა. ბალდახმატოვი, რ. ლაფლანიანი და მ. მარდანოვი.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს თეატრალური საზოგადოების გამგეობის წევრმა ნ. შვანგირაძემ, აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ შ. გაბესკირიამ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრებისა და მუსიკალური დაწესებულებების სამმართველოს უფროსმა ვ. ჭელიძემ, მწერალმა მიხ. ბრეგელიშვილმა, მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს სახელმწიფო კინოკომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ანთაძემ, რუსთაველის სახელობის თეატრალური გ. ნინოძე.

### ᲛᲣᲨᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ

# 36 ᲡᲐᲐᲗᲘ ᲪᲮᲔᲚ ᲚᲣᲛᲔᲚᲨᲘ

ᲔᲡ ᲛᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ.

ᲭᲘᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲘᲗᲝᲗᲝᲤᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲒᲣᲨᲘᲡ საამქროში მოულოდნელად მწყობრიდან გამოვიდა შავი მბრუნავი ღუმელი.

ვისაც ამ ღუმელის დანიშნულება ესმის, უყოყმანოდ დაგვეთანხმება — მისი გაჩერება არასოდეს არ შეიძლება, არც დღისით, არც ღამით, არც კვირა-უქმე დღით. ერთი სიტყვით, იგი ქარხნის ცოცხალი გულია და მუდამ უნდა მუშაობდეს.

გვიან ღამით ღუმელის ცეცხლგამძლე ამონაგები გამოიგზა. შეწყდა ხარიტის ალდგენის, გოგირდ-ბარიუმის გამოშვების პროცესი. აშკარა საფრთხე შეექმნა ლითოფონისა და თუთიის საამქროების, მაშასადამე, მთელი ქარხნის ნორმალურ მუშაობას.

ქარხნის უფროსმა დისპეტჩერმა კომუნისტმა დიმიტრი ხორავამ ყველაზე უწინ იგრძნო და გაითვალისწინა ეს საფრთხე. მაგრამ ასეთ დროს ერთ ან ორ კაცს ამა თუ რის გაკეთება შეეძლო? მან შექმნილი მდგომარეობა პირველ რიგში დირექტორს აცნობა.

მოვიდა ამ შუადამისას ქარხნის დირექტორი გიორგი ძიმისტარიშვილი, მასთან ერთად მოვიდნენ ბარიუმის საამქროს უფროსი პეტრე კაკაძე, ქარხნის სარემონტო-სამშენებლო საამქროს უფროსი გიორგი ასათიანი, აქვე გაჩნდნენ მეღუმელეები. ზეინკლები... და ყველას, ვინც აქ შინიდან ასეთ დროს მოვიდა, შეეძლო ჩვეულებრივად ბვალისათვის გადაეედო საქმე.

მაგრამ მუშურმა სინდისმა, თავისი ქარხნის დიდმა სიყვარულმა, საერთო საქმის ინტერესებმა შთააგონა თვითეულს ცალკე და ყველას ერთად დაუყოვნებლივ დაეწყოთ მუშობა.

ძნელი იყო 70-80 გრადუსით გახურებულ ღუმელში შესვლა. მაგრამ არც ღუმელის სრულ გაცივებამდე შეიძლებოდა საქმის გადადება. ქარხნის დირექტორი გ. ძიმისტარიშვილი თბოსაიზოლაციო ტანსაცმლითა და სხვა საშუალებებით ალიჭურვა. იგი პირველი შევიდა ცხელ ღუმელში. მას მიჰყვნენ დანარჩენებიც.

იმათ შორის, ვინც მკლავებდაკაპიწებული იბრძოდა თავისი ქარხნის, კოლექტივის ღირსებისათვის, შეგვიძლია პირველ რიგში დავასახელოთ მეღუმელეები ოთარ ნინიკაშვილი, პავლე კურეპინი და შოთა ლანჩავა. დამხმარე მუშები ალბერტ ელფაშვილი და ნიკოლოზ ფვანია, მეღუმელე ოსტატი ივანე ჭობულოვი, მეაპარატეები ალექსანდრე ფარანგოზიანი, დავით ჩარკვიანი და გიორგი ამბროლაძე, ზეინკლები ივანე გოგოლაშვილი, შიმენ ბარაბაძე, ვალიკო არსენიძე და გურამ დოხნაძე.

ამ ადამიანებმა სრული 36 საათი მოანდომეს გმირულ შრომას და მიზანს მიაღწიეს — ღუმელი სარეკორდოდ მოკლე ვადაში აღადგინეს.

36 საათის ნაცვლად, რასაც ამ ხალუშაოს ჩვეულებრივ ანდომებენ ხოლმე, ყველაფერი მორჩა 36 საათში.

მაგრამ აქ მარტოდენ დროის მოგება როდია მთავარი, არც ის, რომ ქარხანამ აღარ დაკარგა ასობით ტონა ლითოფონი, ლაქ-საღებავი.

ყველაზე დიდი მოგება, ყველაზე დიდი შენაძენი გახლავთ ახალი ხასიათი ახალი ადამიანების, ჩვენი მუშების ესოდენ მაღალი შეგნებულობა, სიმამაცე, მათი სულის სიდიადე.

**Შ. ᲯᲐᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ᲡᲘᲐᲮᲚᲗᲣᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

### ᲒᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

**ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ,** 8 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). ბელგიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ დღეს პროტესტი გაანაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ბელგიის მთავრობა აპირებს ხება დაართოს ევროპაში განლაგებული ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს ბელგიის ტერიტორიაზე გადმოტანოს თავისი შტაბი.

ბელგიის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც გაზეთმა „ლა პო რუემა“ გამოაქვეყნა, კერძოდ, ნათქვამია: „ვაშინგტონისა და ბონის მოთხოვნებისადმი დამორჩილების გამო ბელგიის მთავრობა დაადგა საშიში მოქმედების გზას, რაც კიდევ უფრო აკავშირებს ჩვენს კეკეყანას რეაქციულ სამხედრო ბლოკთან, რომლის მთავარი ბატონი ვიეტნამის ბარბაროსული ომით ცნობილ ფუნ, ოუ რა ფასი აქვს მის დეკლარაციებს ხალხთა თავისუფლების შესახებ“.

### ᲐᲖᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 9 ივნისი. (საკდესი). გერმანიის კომპარტიამ და პორტუგალიის კომუნისტურმა პარტიამ კომუნიკეში ორივე პარტიის დელეგაციათა ამასწინანდელი შეხვედრის შესახებ განაცხადეს, რომ ერთი აზრისა არიან ერთობლივი ბრძოლისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველა საკითხზე. ორივე პარტია არალეგალურ პირობებში მუშაობს და სურთ განამტკიცონ თავიანთი ურთიერთობა და თანამშრომლობა. იუწყება ადენს საარგენტინო დასავლეთ გერმანიის ქალაქ პამბურგიდან.

„ევროპის მშვიდობას მთავარ საფრთხეს უქმნის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების რევანშისტული პოლიტიკა და მისწრაფება გახდეს ატომური სახელმწიფო, — ნათქვამია კომუნიკეში. — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა პორტუგალიაში ქმნის სამხედრო ბაზებს. დასავლეთ გერმანიის მსხვილი კაპიტალი სულ უფრო იკიდებს ფეხს პორტუგალიის ეკონომიკაში და მზარს უჭერს სალაზარის კოლონიურ ომს ანგოლის, მოზამბიკისა და ეკვატორულ „პორტუგალიის გვინეის“ ხალხთა წინააღმდეგ.

გერმანიის კომპარტია და პორტუგალიის კომპარტია ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებისა და უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის, აგრეთვე ევროპის უშიშროების სისტემის მომხრენი არიან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის დიდნიშვნელოვანი ფაქტორია, აცნდებს ორივე პარტია.

ორივე პარტიამ სოლიდარობა გამოუცხადა ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას, განაცხადა, რომ კვლავაც შეიტანენ წვლილს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობაში. პარტიები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ ხელი შეუწყო სოციალიზმისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძალების განმტკიცებას.

### ᲛᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲨᲕᲜᲘᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

**ᲑᲐᲛᲑᲐᲙᲝ,** 8 ივნისი. (საკდესი). მუნიციპალურ არჩევნებში, რაც გასულ კვირას გაიმართა მალიში, 180.965 ამომრჩეველმა ამომრჩეველდან მონაწილეობა მიიღო 163.040 კაცმა. კანდიდატთა ერთიანმა სიამ, რომელიც წარმოდგენილი იყო სუდანის კავშირის პარტიის მიერ, ხმა მისცა 162.926 ამომრჩეველმა. 114 ბიულეტენი გაუქმებულად ჩაითვალა. ამას იუწყება დღეს მალის გაზეთი „ესპერანტ“.

ეს არჩევნები პირველი მუნიციპალური არჩევნები იყო მალის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. მალიელმა ამომრჩეველებმა აირჩიეს მუნიციპალური საბჭოების 429 წევრი.

# ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ VI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, იუგოსლავიის შრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის VI ყრილობაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, გამოვიდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო. მან განაცხადა, რომ კავშირის საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს ძირითად მიზანს — საშუალება მიეცეს უშუალო მწარმოებლებს გამოიყენონ ყველა უფლება, რომლებსაც თვითმმართველობა ითვალისწინებს.

შეეხო რა ეკონომიური და საზოგადოებრივი რეფორმის განხორციელებას იუგოსლავიაში, ტიტომ თქვა, რომ მას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ, და სოციალისტური კავშირის წევრთა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა თვალყური ადევნონ რეფორმის განხორციელებას, რომელსაც არა მარტო ეკონომიური, არამედ აგრეთვე ფართო საზოგადოებრივი ხასიათი აქვს.

ეკონომიკის შემდგომი პროგრესისათვის ჩვენ გვეპირდება მშვიდობა, განაცხადა შემდეგ ტიტომ. იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკა ითვალისწინებს ყველა საერთაშორისო სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას. ვიეტნამის ომი, ხაზი გაუსვა ტიტომ, არაადამიანურია და უსამართლო, იგი დიდად აღაშფოთებს მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობას.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაგმო ცდები, რომ ატლანტიკის პაქტი გამოიყენონ ევროპის ჟანდარმად. დარწმუნებული ვარ, განაგრძო ტიტომ, რომ ატლანტიკის პაქტის დაშლას მოჰყვებოდა ის, რომ აღარ იქნებოდა არც ვარშავის პაქტი. ამის გარანტიას წარმოადგენენ თვით სოციალისტური ქვეყნები, რომლებსაც სურთ მშვიდობა.

იუგოსლავიას, თქვა შემდეგ ტიტომ, კარგი ან ჩინებული ურთიერთობა აქვს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით სოციალისტურ და მეზობელ ქვეყნებთან.



ᲙᲚᲐᲖᲘᲜᲘᲡ მანქანათსამშენებლო ქარხანა „შკოდაში“ დაიწყო 200 მეგავატი სიმძლავრის ტურბოგენერატორის აწყობა ჩრდილოეთ ბოჰემიის ლიდვიცეს ელექტროსადგურისათვის. ასეთი სიმძლავრის გენერატორები პირველად მზადდება ჩეხოსლოვაკიაში.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ:** აწყობის ერთ-ერთი მომენტი. გენერატორის წონა 220 ტონაა.

ფოტო ჩტკ-ასს-ისა.

# ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ,** 9 ივნისი. (საკდესი). კონგრესმენთა ჯგუფმა მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას აქტიურად ჩაერიოს სამხრეთ შტატებში ზანგთა საარჩევნო უფლებების დაცვის საკმეში. კონგრესმენი ჯონ კონიერსი, დემოკრატი მიჩიგანის შტატისაგან, გუშინ წარმომადგენელთა პალატის 100 წევრთან ერთად ზანგიდა მისისიპის შტატში, სადაც თავს დაესხნენ ჯეიმს მერედიტს. მან განაცხადა, რომ ამ შტატში საარჩევნო უფლებების ქარტის მინიმალურად ეყენებენ.

„თუ ყოველივე ასეთივე ტემპით გაგრძელდა, თქვა მან გუშინ პრეს-კონფერენციაზე, შესაძლოა, რომ მხოლოდ 25 წლის შემდეგ ყველა ზანგმა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში“.

კონგრესმენმა თეოდორ კუპერმანმა, რესპუბლიკელმა ნიუ-იორკის შტატისაგან, განაცხადა, მაშინ როცა საჭიროა მტკიცე ზომებიდა, ეუსტიციის სამინისტრო პასუხიერად ახორციელებს ახალ საარჩევნო კანონსო.

ამ ჯგუფის სხვა მონაწილეებმა აღიარეს, შიშია იმის მთავარი მიზეზი, რომ ბევრი ზანგი თავს იკავებს და არ მონაწილეობს არჩევნებში.

### ᲔᲠᲗᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 9 ივნისი. (საკდესი). ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ მარშალმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელებთან ერთად განიხილა პოლიტიკური და სამხედრო დარგებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ახალი ზელანდიის ურთიერთობის საკითხები და, კერძოდ, „ვიეტნამის ომში ორივე ქვეყნის ერთობლივ ღონისძიებათა“ პრობლემა. იგი ამ თემებზე მოლაპარაკებას აწარმოებდა პრეზიდენტ ჯონსონთან და სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან შორეული აღმოსავლეთის საქმეებში ბანდიასთან.

„პრეზიდენტმა ჯონსონმა, — თქვა მარშალმა, — კმაყოფილება გამოთქვა იმ წვლილის გამო, რომელიც ახალ ზელანდიას შეაქვს ვიეტნამის ომში. მან განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ვნერგიულად განაგრძოს ომი, მე. კი ალვუთქვი, რომ ახალი ზელანდიის მთავრობა ასეთივე აზრი ა“.

როგორც მარშალმა თქვა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს, არ უთხოვიათ მისთვის ახალი ზელანდიის ჯარების დამატებითი კონტინგენტების გაგზავნა ვიეტნამში.

### ᲜᲘᲖᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲛᲗᲔᲠᲓᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 ივნისი. (საკდესი). დღეს საგანგებო სესიაზე შეიკრიბა ნიგერიის უმაღლესი სამხედრო საბჭო, რომელმაც უნდა განიხილოს ამას წინათ ნიგერიის ჩრდილოეთ პროვინციაში მომხდარი მღელვარებისა და არეულობის საკითხი.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საკავშირო ლაგოსელი კორესპონდენტი იუწყება, სესია გაიმართება გენერალ აგიი-იოოსის თავმჯდომარეობით, რომელიც ნიგერიის სამხედრო მთავრობას მეთაურობს.

საგენტო დასძენს, რომ დაუდასტურებელი მონაცემებით, ამასწინანდელი შეტაკებების შედეგად კალუნსა და ჩრდილოეთის სხვა ქალაქებში დაზიანებულია 92 და დაჭრილია 500-ზე მეტი კაცი. ამჟამად, ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მთავრობა სავსებით უწევს კონტროლს ჩრდილოეთ ნიგერიის მდგომარეობას.

### ᲡᲐᲛᲗᲔᲓᲠᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ, 8 ივნისი. (საკდესი). ქალაქ სან-პაულოს სამხედრო ტრიბუნალმა დაამტკიცა ბრაზილიის კომუნისტური პარტიის, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი პროგრესული ორგანიზაციების მთელი რიგ თვალსაჩინო მოღვაწეთა საქმეების გარჩევა. ფალსიფიცირებული „დოკუმენტების“ საფუძველზე, რომლებიც პროცესზე წარადგინეს, როგორც „პრესტესის რეიულები“, განსასჯელებს ბრალად დასდეს „დანაშაული ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ“, სამხედრო ტრიბუნალმა დაუსწრებლად მიუსაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა ბრაზილიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ლუის კარლოს პრესტესს. სხვადასხვა ვადის პატიმრობა — 1 წლიდან 10 წლამდე დაუსწრებლად მიუსაჯეს კიდევ 60-ამდე კაცს.

### ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ს. ივანოვი იტყობინება: ინგლისის დედაქალაქში დღეს გაიხსნა კონფერენცია, რომელიც განიხილავს ინგლისის პროტექტორატ ბასუტოლენდის დამოუკიდებლობის საკითხს.

კონფერენციამ უნდა განიხილოს კონსტიტუციური ცვლილებანი ბასუტოლენდში, რომლებიც გათვალისწინებულია განხორციელდეს დამოუკიდებლობის მინიჭებამდე. და მთელი რიგი სხვა საკითხები. ვარაუდობენ, რომ ბასუტოლენდი ლესოტოს სამეფოს სახელწოდებით დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადდება 1966 წლის 4 ოქტომბერს ერთა თანამეგობრობის ფარგლებში.

ბასუტოლენდს ირგვლივ აკრავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორია და ეკონომიურად დამოკიდებულია მასზე. ბასუტოლენდის მოსახლეობა დაახლოებით 700 ათასი კაცია. ბასუტოლენდის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შახტებსა და სოფლის მეურნეობაში. მოსახლეობა ძირითადად მესქელეს მეცხოველეობას.

# ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 9 ივნისი. (საკდესი). ნიკარაგუა ყოველ წუთს მზად არის დათმოს თავისი ტერიტორია კუბაში შეიარაღებული შეჭრისათვის, განაცხადა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ნიკარაგუას პრეზიდენტმა რენე შიკმა. თავისი აგრესიული პოზიციის ასახსნელად პრეზიდენტმა მოიმიზეზა „საფრთხე“, რომელსაც ითვლის უკმნიდეს ლათინურ ამერიკას რევოლუციური კუბა და „საერთაშორისო კომუნიზმი“.

რენე შიკი ცდილობდა აგრეთვე ყოველგვარად გაეგმართლებინა ამერიკის ინტერვენცია დომინიკის რესპუბლიკაში. ელემენტარული ლოგიკის საწინააღმდეგოდ მან თქვა, რომ „ეს იყო „უდიდესი ჰუმანური აქტი“, რომელმაც დომინიკელ ხალხს „საერთაშორისო კომუნიზმისაგან“. ჰუმანურობის დაფიქრებამ პრეზიდენტს იმიტომ დასჭირდა, რომ რრგორც მან თვითონვე აღიარა, სანტო-დომინგოში ამერიკელ ჯარისკაცთა გადასასხმელად მეერთებულ შტატებს არავითარი იურიდიული საფუძველი არ ჰქონდათ.

რენე შიკი, ოთხელიც ახლა შეერთებულ შტატებში „ბრაზიერობს, ნაღვ შეხვდება პრეზიდენტ ჯონსონს. პრეს-კონფერენციაზე მან თქვა, ამ შეხვედრის დროს განვიხილავთ ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საკითხებსო. ამასთან დაკავშირებით რენე შიკმა განაცხადა, რომ მზად არის შეასრულოს ბრაინ-ჩარლროს ხელშეკრულება, რომელიც, როგორც ცნობილია, შეერთებულმა შტატებმა თავს მოახვიეს ნიკარაგუას 1914 წელს. ამ ხელშეკრულებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოიპოვეს უფლება. შეექმნათ სამხედრო-საზღვაო ბაზები ნიკარაგუას ტერიტორიაზე და მის ტერიტორიაზე. აეშენებინათ სარკეკანოშორიანი არხი.

ამ „საერთო ინტერესებით“ აიხსნება სწორედ, რომ რენე შიკი სავსებით უჭერს მხარს შეერთებული შტატების იმპერიალისტურ პოლიტიკას.

### ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 9 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ აქ დამთავრდა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს მეტრიგი სესია. მისმა მონაწილეებმა მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც დაკავშირებულია ბლოკის „გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაციიდან საფრანგეთის მომავალ გამოსვლასთან.

# ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘ „ᲐᲚᲛᲐ“ ᲙᲣᲒᲐᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 9 ივნისი. (საკდესი). გუშინ კუბის თავმჯდომარეობით „მხატვრობა“ ის ვარაუდი გამოიყენა, რომ ხელები ავტორის ემოციებს მთელი სისრულით ვერ განახორციელებენო. პოლსენის „შემოქმედებაში“ ახალია აგრეთვე ის, რომ ხალებავებად კვების სხვადასხვა პროდუქტებს იყენებს. ბოროტი ენები ამბობენ, შემოქმედებასთან ამას არავითარი კავშირი არა აქვსო. მთელი საქმე კი ის არის, რომ ზეთის ხალებავებს, რომლებსაც ავტორი წინათ ხმარობდა, არასიამოვნო გემო და სუნი აქვს.

ნაგი „ბალინელეკ“ 12 მეტრი სიგრძისაა. ზვილი ურჩვდა ღრმად მოხუც ფიდას არ შესდგომოდა ამ მოგზაურობას, მაგრამ მოხუცმა თავისი ჯიგარა. მე ცული მეზღვაური ირა ვარ და ზღვის ბავშვოფობა არასოდეს არ მაწუხებსო.

(„პრავდა“, 8 ივნისი).

# ᲡᲜᲐᲕᲚᲘᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲘ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲮᲚ.

**Მ. ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება მოითხოვს კვალიფიციური მუშათა კადრების სულ ახალ და ახალ ნაკადს. პროგრესი, სამრეწველო წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ვალდებულებას გვაკისრებს ავამაღლოთ ახალგაზრდა მუშა სპეციალისტთა მომზადების ხარისხი. ამას ემატება ჩვენი სკოლების X და XI კლასების ათეულ ათასობით მოსწავლის ერთდროული გამოშვება. ცხადია, მათი მხოლოდ ნაწილი შეძლებს მოსვლას უმაღლეს სასწავლებლებში.

რა გზაზე დავაყენოთ გამოშვებულთა უდიდესი უმრავლესობა? — ცხადია, აქედანვე უნდა ჩავბეთ შრომითს საქმიანობაში. მაგრამ შრომასაც ხომ პრაქტიკული ცოდნა, მომზადება სჭირდება, რაც ნაკლებად გააჩნია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის უმრავლესობას. სასწავლო წლის დამთავრებამდე დიდი დრო აღარ დარჩენილა. როგორია პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წვლილი, მიმართ ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა სწავლების გაფართოების დარგში, როგორ სრულდება, კომიტეტის სისტემაში ეს ღონისძიებანი? — ამ კითხვით მიმართა „საზეთ კომუნისტის“ კორესპონდენტმა პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მ. ჩიხლაძეს.

ეი რა გვაამბო მან:

ᲒᲚᲔᲕᲐᲜᲔᲚᲘ წელი განსაკუთრებით პასუხსაგები და შრომატევადი იქნება ჩვენი პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. გასულ წელს პროფტექნიკური სასწავლებლები 8.800-მდე მოსწავლემ დაამთავრა, ხოლო სასწავლებლებში ამჟამად იქნა 9.586 ახალგაზრდა; 1966 წელს კი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 17.200 ახალგაზრდა უნდა მივიღოთ; შესაბამისად გაიზრდება კვალიფიციური მუშების გამოშვების რიცხვიც.

გასული შვიდწლეულის განმავლობაში ამ ასეთ პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა 43.300 ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა მოუმზადეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს. ამავე ხუთწლეულში ეს რიცხვი ოთხმაგად ერთიორად გაიზრდება 1966-1970 წლებში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობები, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ყველა დარგში — მოითხოვს ზოგადი განათლების მქონე მუშათა კადრებს, რომლებსაც უნარი შეეძლებოდეთ მართონ თანამედროვე რთული მანქანები, მექანიზმები და დანადგარები.

ამიტომ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 2 ოქტომბრის დადგენილება — „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა სწავლებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“, — ითვალისწინებს ახალი ტიპის ტექნიკური სასწავლებლების ჩამოყალიბებას, რომლებშიც ჩარიცხული იქნება საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობა.

ამ მიმართულებით წელსვე იქნება გადადგმული ნაბიჯები ჩვენს რესპუბლიკაში. დიდ საწარმოთა და მშენებლობათა ბაზაზე თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდში და სხვაგან შეიქმნება ახალი ტიპის ტექნიკური სასწავლებლები და მათი ფილიალები, რომლებშიც მიღებულ იქნება საშუალო სკოლის კურსდამთავრებული 2.500 ახალგაზრდა. გარდა ამისა, არსებულ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შეიქმნება ცალკე ჯგუფები, სადაც საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები მიიღებენ პროფესიულ ცოდნას.

სულ ახლადშექმნილ და არსებულ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში საშუალო განათლების მქონე 9.100 ახალგაზრდა იქნება ჩაბმული.

იმედია, საქართველოს მშენებლობის სამინისტრო და შესაბამისი სამშენებლო სამმართველოები პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესაბამისად საექსპლოატაციოდ გადმოგცემენ მშენებლობაში მყოფ ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის, გორდაბნისა და ნიჯარაძეს ობიექტებს მიმდინარე წლის 15 დეკემბერამდე, რათა შეეფერებლად დაწყებულ იქნას მეცადინეობა.

ტექნიკური და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს ყველა მიღრმა ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა,



# ᲔᲡ ᲔᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲔᲚᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

— თუ შეიძლება მომეცით ერთი ბილეთი ქუთაისამდე. — მიმართა სარკმელთან მჯდომ ქალს ახალგაზრდა ვაჟმა და ფული გაუწოდა.

— უკან გამოსამგზავრებელი ბილეთიც ხომ არ გნებავთ? — შეეკითხა მას მოლარე.

— ეს როგორ? ქუთაისიდან აქ გამოსამგზავრებელ ბილეთსაც ჰყიდით?

— დიახ, თქვენ მითხარით ოღონდ, რომელ დღეს, რომელ საათზე გინდათ გამობრუნება და ბილეთს ჩვენთან შეიძენთ.

ასეთ დიალოგს მოვკარი ყური თბილისის რკინიგზის საქალაქო სადგურის ბილეთების წინასწარი გაყიდვის სალაროსთან და უფრო დაწვრილებითი ცნობების გასაგებად მივმართე სალაროების უფროსს ლუბა ჭანტურიას.

— ყოველი საზაფხულო სეზონისათვის ვცდილობთ უკეთ მოვემსახუროთ მგზავრებს, — გვითხრა მან.

წელს 1 ივნისიდან ჩვენს სადგურში ზოგიერთი სიახლეა. პირველად ჩვენთან შემოვიღეთ ამა თუ იმ ქალაქიდან უკან გამოსამგზავრებელი ბილეთიც. ეს ერთ-ერთ ასეთი ბილეთები გაიყიდება ბათუმიდან, მახარაძიდან, სამტრედიიდან, ფოთიდან, სოხუმიდან, ქუთაისიდან, ჭიათურიდან, წყალტუბოდან, ერევნიდან და ბაქოდან გამოსამგზავრებლად.

კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე გვაქვს. 15 ივნისიდან ჩვენთან დაიწყება ბილეთების გაცემა შერეული ტრანსპორტისათვის.

— ეს რაღას ნიშნავს?

— მგზავრი იყიდის ბილეთს თბილისი-ბათუმი-ოდესა და ამ ბილეთით იმგზავრებს რკინიგზით და გემითაც. ამ მარშრუტის მგზავრთა უკეთ მომსახურების მიზნით ბათუმში მატარებელს დაუდგება სპეციალური მანქანა, რომელიც მგზავრებს გადაიყვანს გემზე. ასევე იქნება უკან დაბრუნების შემთხვევაშიც. ჯერჯერობით ბილეთებს გავაცდით შემდეგ გემებზე — „აბხაზია“, „პეტროდვორეცი“, „მოლდავია“, „ადმირალი ნახიმოვი“, „როსია“, „პიოტრ ველიკი“, „ივან ფრანკო“. ამ გემებზე გამოყოფილი გვაქვს I-II-III კლასის კაიუტები.

რკინიგზის საქალაქო სადგურის კოლექტივმა ამას წინათ კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი მიიღო.

ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

## ᲚᲘᲛᲝᲜᲐᲗᲘ „ᲡᲐᲒᲐᲕᲨᲕᲝ“

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ამ დღეებში „ქუთაისკვებვაჭრობის“ სახურსათო მაღაზიებში გამოჩნდა ახალი ლიმონათი „საბავშვო“. იგი დამზადებულია ქუთაისის ხილის წყლების ქარხანაში და რეკომენდებულია, როგორც შესანიშნავი სასმელი მადადაკარგული ბავშვებისათვის.

ქუთაისელმა ექიმმა გრ. მხეიძემ დიდი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ სათანადო რეცეპტურით შეექმნა ეს არომატული სასმელი.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ჩვეულებრივად მადის აღმძვრელ მედიკამენტებს ბავშვები გაურბიან, ხოლო მადისაღმძვრელი საშუალებებით ალუბლის წვენზე დამზადებულ ლიმონათს, როგორც ეს მრავალმა გამოცდამ ცხადყო, ხალხსით ეტანებიან.

საბავშვო ლიმონათის რეცეპტურის შემუშავებისა და მისი დამზადებისათვის ექიმ გრ. მხეიძესთან ერთად სასარგებლო მუშაობა გასწიეს ტრესტ „საქმინხილწყლების“ მმართველმა მ. ქართველიშვილმა, მთავარმა ტექნოლოგმა ქ. ბოკერიამ, ლაბორანტმა ვ. გოგიავამ.

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ პარიზიდან დაბრუნდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი კომპოზიტორი ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲨᲐᲕᲘᲠᲘᲐᲜᲘ, რომელიც სტუმრად მიიწვია საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა რედაქციამ.

ქართველ კომპოზიტორს საფრანგეთის რადიოთი საუბარი ჰქონდა ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის შესახებ.

საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა რედაქციამ მოამზადა სამი ჩანაწერი — ქართული მუსიკის ანთოლოგია, ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორები და კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის საავტორო კონცერტი, რომლებსაც ფრანგები ივნისის დამლევს მოუსმენენ.

◆

## ᲜᲝᲠᲩ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). უკვე რამდენიმე წელია მეგობრობენ რუსთავისა და ალავერდის მუსიკალური სკოლები. ტრადიციად იქცა სომეხი და ქართველი მუსიკოსების ერთობლივი კონცერტები. ამას წინათ რუსთაველები ალავერდს ეწვიენენ. გაიმართა კონცერტი, სადაც ქართველმა ნორჩმა მუსიკოსებმა თავიანთი ხელოვნება უჩვენეს სომეხ კოლეგებს.

კონცერტის მეორე ნაწილში მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს თვით მასპინძლებმა.



# ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲪᲮᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲛᲐᲘᲡᲘ საქართველოში ზასიათდებოდა ნორმაზე დაბალი ტემპერატურითა და ხშირი ნალექებით. სამაგიეროდ ივნისის დასაწყისში ამ დროისათვის უჩვეულო სიცხეები დაიჭირა ჩვენს რესპუბლიკაში. რა იყო ამის მიზეზი? ივნისის პირველ რიცხვებში საქართველოს ტერიტორიაზე გაპატრნდა ტროპიკული ჰაერის მასები, შემოსული სამხრეთის ცხელი ქვეყნებიდან — ირანიდან, ერაყიდან, ეგვანეთიდან, ეგვიპტიდან და სხვ. დასავლეთის გრილ და ნოტიო ჰაერს გადარეკლების გზა თითქმის სრულიად დაეზშო.

განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურა იყო დასავლეთ საქართველოში. მაგალითად, 4 ივნისს გაგრაში, სოხუმში, ფოთში, ზუგდიდში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, ქუთაისში თერმომეტრი ერევნებდა 33 გრადუსს, ბათუმში — 40, ქობულეთში—41.

ღასავლეთ საქართველოში ძლიერ სიცხეებს ხელს უწყობდა ატლანტიკის ადგილობრივი მეტეოროლოგიური პირობები. იქრდა, ამ რაიონებში იმ დროს გაბატონებული ცხელი ქარები — ფიონები. 5 ივნისს დასავლეთ საქართველოში ადგილ ჰქონდა შედარებით გრილი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელებას შავი ზღვიდან, რამაც გამოიწვია მაქსიმალური ტემპერატურის მკვეთრი დაწევა 15-19 გრადუსამდე. განსაკუთრებით დაბლობ რაიონებში, სადაც ამიამადაც შედარებით გრილა და ღრუბლიანი ტემპერატურა, მაგალითად, 7 ივნისს 22-25 გრადუსის ფარგლებში იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მაღალი ტემპერატურა 5 და 6 ივნისს აღინიშნა: თბილისში— 36, გარდაბანში — 37, ლაგოდეხში — 35 გრადუსი. ასეთი ღიდი სიცხე საქართველოში ამ პერიოდისათვის ბრალი მოელენია.

მაგალითად, გასულ წლებში თბილისში ივნისის პირველ ორ დეკადაში ჰაერის ტემპერატურას 36 გრადუსამდე არასოდეს არ მიუღწევია.

ამავამად კავკასიის ტერიტორიაზე ძირითადად ცხელი და მეტად მშრალი ტროპიკული ჰაერის მასები მოქმედებენ, რაც უახლოეს დღეებში აღმოსავლეთ საქართველოში კვლავ განაპირობებს მაღალი ტემპერატურის შენარჩუნებას 32-35 გრადუსის ფარგლებში, ხოლო დასავლეთ საქართველოში რამდენადმე უფრო ეგრილება.

Ვ. ᲙᲝᲙᲚᲐᲢᲐᲫᲔ.

თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი.

## „ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲓᲘᲑᲐᲘᲫᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲘᲡᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲙᲘ. 9 ივნისი. (საკ. კორ.). დღეს ოქროს რქის უბიდან პირველ სარეწ რეისში გავიდა ახალი მცურავი თევზგადასამუშავებელი ბაზა „შალვა ნადიბაიძე“, რომელიც საბჭოთა კავშირის შეკვეთით აიგო იაპონიაში. ეს ერთ-ერთი უდიდესი მცურავი ბაზაა ჩვენს ქვეყანაში. მისი წყალწყვეტა დაახლოებით 20 ათასი ტონაა, აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ერთსა და იმავე დროს არის თევზგადასამუშავებელი ქარხანა და რეფრიჟერატორი.

„შალვა ნადიბაიძე“ წყნარ ოკეანეში თითქმის ნახევარ წელს დაჰყოფს.

## Ზ. ᲒᲣᲓᲐᲕᲐ — ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲡᲠ მეცნიერებათა აკადემიის უნათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ტოგო ესტატეს-ძე გუდავამ ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

**„ანდიურ ენათა კონსონანტიზმი (ისტორიულ-შედარებითი ანალიზი)“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ტ. გუდავასათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

## ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲢᲣᲠᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისში გაიმართა საქართველოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელწინა მეთექვსმეტე ტური.

ჩიქობავამ დაამარცხა ბაძაღლუა, სვანაძემ — ლოლიშვილი, ნაჭუებიამ — მანველოვა, ხუციულურმა — გოგოავა, ხუციაშვილმა — შენგელია, ივანოვამ — ჩომახიძე, კობაიძემ — ჩხიკვაძე. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თექვსმეტი ტურის შემდეგ ლიდერია ა. ჩაიკოვსკაია, რომელსაც 13,5 ქულა აქვს. ც. კახაბრიშვილს 12,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

დღეს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, ხვალ შედგება უკანასკნელი ტური.

## ᲢᲝᲚᲘᲓᲝᲡ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲑᲖᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜ ტოლიდოში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის გაემგზავრა სსრ კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი. 13 ივნისს კი გაემგზავრებიან კლასიკური მოჭიდავეები. სპორტული მიმომხილველები, სპეციალისტები თვლიან, რომ საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები არიან სსრ კავშირის, ბულგარეთის, თურქეთისა და ირანის გუნდები.

იმიტომ ვინც ოთხი წლის წინათ გამოდიოდნენ ტოლიდოში და გაიმარჯვეს, სსრ კავშირის ნაკრების ახლანდელ შემადგენლობაში არიან ივანეცკი, მედვედი და ალიევი. გარდა ამ მოჭიდავეებისა ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში არიან ევროპის ჩემპიონები თედეევი, ბერიაშვილი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სალარაძე, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ცხოვრებოვი და მსოფლიო პირველობის დებიუტანტი ალიბეგაშვილი.

სსრ კავშირის კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდში ჩვენი რესპუბლიკიდან შედის რუხაშა.




## ᲓᲐᲒᲔᲯᲓᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ

# ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲡᲣᲔᲪᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲨᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲑᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡ ᲓᲔᲚᲤᲘᲜᲔᲑᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲝᲠᲘ დღის წინათ („იზვესტია“ № 132) ჩვენ მოვათავსეთ მოკლე დეპეშა დელფინების მიერ ადამიანის გადარჩენის შესახებ. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა გადარჩენილს და კიროდან დაწვრილებით გადმოგვცემს ამ არაჩვეულებრივ ამბავს.

□ □

ᲜᲐᲛᲘ ტალღებს ზღვაში მიჰქონდათ. უკვე დიდი ხანია ნაპირი თვალს მეფარება. ტალღები მაჰქუდს სახეში სცემდნენ, თვალებს უბრმავებდნენ. მოტორი ჩაქრა. ტალღები ნავს აქეთ-იქეთ აგდებდნენ. „ხელი არ უნდა ვუშვა მაშველ ლეიბს“,, — თავში გაუელვა მაჰმუდ ვალის. ᲧᲐᲠᲗᲣᲚᲘᲗ დაწყებული თევზაობა შეიძლებოდა ტრაგიკულად დამთავრებულიყო კიროელი ინჟინრისათვის.

ᲣᲮᲐᲠᲗᲣᲚᲐᲠᲗᲣᲚᲐᲛ ტალღამ მაჰმუდი წააქცია და ზღვაში გიიტაცა. მაგრამ ინჟინერმა ხელი არ უშვა ლეიბს, ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა. ზედ დარჩენილიყო. სასოწარკვეთილება სულ უფრო იპყრობდა. რამდენ ხანს გაძლებს ღია ზღვაში მტკნარი წყლის უქონლად, სად გიიტაცებს სტიქია, როგორ მისცეს სიგნალი გაჭირვების შესახებ?

სუეცის ყურეს ბინდი ჩამოაწვა. მაჰმუდი სველ ლეიბს თავით ეკვროდა და გრძნობდა, ტალღების დარტყმებისაგან როგორ უთრთოდა სხეული. ერთადერთი ფიქრი ჰქონდა: „ოღონდ დილამდე გავძლო...“.

დაბნელდა. ღრუბლებს შუა ოდნავ გამოჩნდებოდა ხოლმე მთვარე. ქარიშხალი კლებულობდა. მოულოდნელად ტალღებში დაინახა რაღაც მუქი საგანი. იგი ხან წყლის ზედაპირის ზემოთ გამოჩნდებოდა, ხან ტალღებში იმალებოდა. ზვიგენი! აქ მეწამული ზღვიდან ხშირად შემოდიან ეს მტაცებლები. მაჰმუდმა ღონეგრად დაუშინა ხელები წყალს, ცდილობდა მაშველი ლეიბთან გასცლოდა საშიშროებას. უეცრად პირდაპირ მის წინ მთვარის შუქზე დელფინის მრგვალი თავი ᲛᲚᲐᲪᲐᲚᲐᲓᲐ. დიახ, ეს დელფინები იყვნენ. მთელი გუნდი. დელფინები უფრო ახლოს მიეიდნენ. რკალივით შემოერტყნენ და ზვიგენების შესაძლო თავდასხმისაგან მისი საიმედო დამცველნი გახდნენ. მაჰმუდმა იგრძნო, რომ ერთმა მათგანმა ქვემოდან თავი უბიძგა ლეიბს, რომელიც ამით წინ დაიძრა. ბიძგები ერთიმეორეს მოსდევდა. მეთამაშეებიანი, იფიქრა მაჰმუდმა დელფინებზე. მაგრამ ეს სრულებითაც არ იყო თამაში... განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ინჟინერს წინ ელოდა. ღამემ გაიარა. ᲙᲝᲠᲜᲖᲝᲜᲢᲐᲖᲔ მზის სპალენძივით წითელი დისკო ამოვიდა, მისი მცხუნვარე სხივები დაეფინა წყალს. მაჰმუდი გაშლილ ზღვაში იყო დაბა სოხნდან ათობით კილომეტრზე.

მზე სულ მაღლა იწევდა. მაჰმუდი გრძნობდა, როგორ ეწვოდა ზურგი, უხურდებოდა თავი. მთელი ღღე გაატარა ინჟინერმა ამ მტანჯველ პირობებში. განძრევა უჭირდა, ისე სტკიოდა მზით დაწეარი ზურგი, რომელსაც ზღვის მლაშე წყალი კიდევ უფრო უღიზიანებდა. და მთელი ამ ხნის განმავლობაში დელფინები არ ტოვებდნენ მას, შორი ნაპირისაკენ უბიძგებდნენ ლეიბს, რომელზეც მაჰმუდი იწვა.

უკვე საღამოდებოდა, ნაპირიდან ადამიანებმა წყლის დამშვიდებულ ზედაპირზე დელფინების გუნდი რომ დაინახეს ისინი თანაბარ წრეებს აკეთებდნენ ერთსა და იმავე ადგილას. ამან მიიპყრო ადამიანთა ყურადღება. ბინოკლით ჩანდა, რომ გუნდი გარს უვლიდა რაღაც მოგრძო საგანს. რამდენიმე წუთის შემდეგ ძალაგამოლეული ინჟინერი კატერზე აიყვანეს.

ᲗᲣᲗᲘᲜᲘ საღამოს ვინახულე ინჟინერი მაჰმუდ ვალი. იგი კიროში ცხოვრობს მაღლივი სახლის მეშვიდე სართულზე. ჩვენს შეხვედრამდე ცოტა ადრე მაჰმუდი დედაქალაქში ჩამოეყვანათ. იგი სახვეევებში ჩამალული იწდა სავარძელში. სახე, ზურგი, ფეხები — ყველაფერი მზისგან დამწვარობით აქვს დაფარული, თვალებში ეტყობა დაღლილობა და დაბნეულობა ადამიანისა რომელიც, როგორც იტყვიან, მეორედ დაიბადა. სწორედ მაჰმუდი მომიყვა ამ საოცარ ამბავს, რაც მას სუეცის ყურეში შეემთხვა გასულ პარასკევსა და შაბათს.

ახლა ძნელია ზუსტი პასუხის გაცემა იმაზე, თუ რა ხელმძღვანელობდა დელფინების ინსტინქტს. ასე დიდხანს რომ არ მიაღოვეს ადამიანი. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მათ ადამიანი ნაპირზე მიეყვანეს, არ მოშორებიან, მასთან იყვნენ როგორც მეგობრები და დაღუპვას გადარჩენეს.

Ლ. ᲙᲝᲠᲘᲐᲕᲘᲜᲘ.

„იზვესტიას“ საკ. კორ.

ᲙᲐᲘᲠᲝ, 8 ივნისი. (ტელეფონით).

(ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐ“, 9 ივნისი)

# ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ მთამსვლელთა მიწვეული ამ დღეებში ტოკიოში გაემგზავრა საქართველოს ალპინისტთა ერთი ჯგუფი, რომელიც ასავლებს მოახდენს ამ ქვეყნის მწვერვალებზე. თქმულა ეს მწვერვალები არ გამოირჩევიან სიმაღლეთი (მათ შორის უმაღლესი ფუძიამა 3.800 მეტრია). მაგრამ ბევრი მათგანის დასალაშვად საჭიროა რული კლდოვანი კედლების გავლა. ამიტომ ზოგჯერ ისინი უტოლდებიან კავკასიონისა და ალპების მარშრუტებს.

იაპონიაში ქართველ მთამსვლელთა მიწვევის ინიციატორია „ვეფხისტყაოსნის“ იაპონურად მთარგმნელი ᲘᲡᲘᲜ ᲨᲣᲯᲣᲠᲘ. ჩვენი ალპინისტებიც იაპონიაში ჩაფრენასთან დაკავშირებით იაპონელებმა შეიმნეს ქართველ და იაპონელ მთამსვლელთა მეგობრობის კლუბი, რომელსაც სათავეში უდგას ᲘᲡᲘᲜ ᲨᲣᲯᲣᲠᲘ.

ამასთან დაკავშირებით იაპონიის ყველაზე მრავალტირაჟიანმა გაზეთმა (ეჰვეი მილიონი) „ასახიმ“ დაიწყო წერილების სისტემატური ბეჭდვა საქართველოს ისტორიის, კულტურის, კერძოდ ქართული ალპინიზმის შესახებ. აგვისტოში იაპონელი მთამსვლელები საპასუხო ვიზიტით ჩამოვლენ საქართველოში და მოახდენენ ასვლებს ცენტრალური კავკასიონის რაიონში.

ჩვენი ალპინისტები პირველი საბჭოთა მთამსვლელები იქნებიან, რომლებიც იაპონიის მწვერვალებს დაპატიჟობენ. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან — ᲨᲐᲑᲐᲢᲐᲫᲔ (ხელმძღვანელი), საქართველოს ალპინისტთა ფედერაციის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი Რ. ᲑᲘᲑᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ხ. ᲮᲐᲑᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Რ. ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ, Ზ. ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Რ. ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ, Ზ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ და სხვები, სულ 11 კაცი.

## ᲛᲐᲢᲩᲘ ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲝ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა Მ. ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜ-ᲗᲐ. ᲡᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ უკანასკნელი 24-ე გადადებული პარტიის დამთავრება. ბრძოლა შეუპოვარი გამოდგა, პარტიის დამთავრებას მეტოქეებმა ოთხსახეკვარი საათი მოანდომეს და ბოლოს 77-ე სვლაზე ᲡᲐᲡᲐᲚᲘᲡ წინადადებით გროსმაისტერები ყიმზე შეთანხმდნენ.

ᲐᲛᲠᲘᲗᲐᲓ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ Თ. ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ 12.5:11.5. ᲓᲦᲔᲡ Თ. ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲠᲒᲖᲘᲜᲘᲗ ᲨᲔᲐᲛᲙᲝᲜᲔᲑᲔ.

## ᲡᲝᲩᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

ᲡᲝᲩᲣᲛᲘ. 9 ივნისი. (ტელეფონით საკ. კორ.). დღეს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში საზეიმოდ გაიხსნა ეფემერსლეიანის ლაბორატორიის ... შორის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მეთაე საერთაშორისო მატჩი. თვითეული გუნდის შემადგენლობაში შედის 6 მოჭადრაკე ვეი. 2 ქალი და 2 ბიბლიო. გუნდებს ... ოთხ-ოთხი საათადარგო მოთამაშე ...

ᲩᲕᲔᲜᲘ სტუმრები არიან: ვაკეებიდან — საერთაშორისო ოსტატები — ... კოვი, მატანოვიჩი, მატულოვიჩი, პარიჩარიჩი, ოსტატები — ბეტოკოი, ... ოვიჩი, მინიჩი; ქალებიდან — საერთაშორისო ოსტატები ივანოვიჩი, ნეიდენკოვიჩი, ოსტატი ... ; ბიბლიოგ — ... ბეტროვიჩი, ... ვიჩი.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში შედიან: ვაკეებიდან — საერთაშორისო გროსმაისტერები — ... , ... ; ... ; ... ;